საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7307
30/11/2022

7307-21-2-202211301639

შპს „მ გრუპს“
მის: ქ. თერჯოლა, ვაჟა-ფშაველას შეს. I, №29
ელ. ფოსტა: magdadolakidze@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 4 ნოემბერს N6206 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება და 2022 წლის 18 ნოემბრის N6643 წერილით წარმოდგენილი ტექნიკური ხარვეზის შესახებ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- N6643 წერილით წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის დაზუსტებული Shp ფაილები კვეთს ორ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდები: 33.09.43.585 და 33.09.43.528). ასევე, სიტუაციური სქემასა და საწარმოს გენერალური გეგმაზე (სურათი 4.1.1.) მითითებული საპროექტო ტერიტორია არ ემთხვევა საწარმო ტერიტორიის გეოგრაფიულ კოორდინატებსა (ცხრილი 4.1.1; გვ. 15) და N6643 წერილით წარმოდგენილი Shp ფაილების კონტურებს. გარდა ამისა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, როგორც ძველი, ისე ახალი Shp ფაილების კონტურები სრულად არ მოიცავს საპროექტო ტერიტორიას (დანადგარის განთავსების არეალი, მათ შორის სალექარის განთავსების ტერიტორია). შესაბამისად, საწარმოო ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას (საკადასტრო კოდ(ებ)ისა, GIS კოორდინატების და Shp ფაილების მითითებით);
- გზშ-ის ანგარიშისა და თანდართული საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია საწარმო, წარმოადგენს შპს „მ გრუპის“ დირექტორის, მალხაზ ხარაძის საკუთრებას (თავები 4.1., 6.2, დანართი 13.1). ამასთან მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიას უშუალოდ ემიჯნება, ასევე მალხაზ ხარაძის საკუთრებაში არსებული (**ს/კ 33.09.43.528**) 58221 მ^2 ფართობის საქმიანი ეზო.“ N23 სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა

ახლდეს საწარმოს ტერიტორიის საკუთრების ან იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ცხრილში 9.1. („სკოპინგის დასკვნის პირობები“) მითითებულია, რომ კონკრეტული ინფორმაციის მოძიება შეიძლება პარაგრაფში 4.1. ხოლო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მოცემულია დანართში 1, თუმცა, შესაბამის დანართში (ქვეთავი 13.1, დანართი 1, გვ. 121) წარმოდგენილია **ს/კ 33.09.43.528** მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. საწარმოს ტერიტორიის დაზუსტებასთან ერთად, გზშ-ის ანგარიშს უნდა ერთოდეს **კომპანიის - შპს „მ გრუპის“** მიერ საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან იჯარის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- როგორც უკვე აღინიშნა, გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიას უშუალოდ ემიჯნება, ასევე მალხაზ ხარაძის საკუთრებაში არსებული (საკადასტრო კოდი: 33.09.43.528) 58221 m^2 ფართობის საქმიანი ეზო, სადაც განთავსებულია: საოფისე შენობა; საყოფაცხოვრებო სათავსები; სველი წერტილი; ადმინისტრაცია; დამხმარე სასაწყობო შენობა ინვენტარისთვის.“ ამასთან აღნიშნულია, რომ საქმიან ეზოში ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს სხვა ტიპის საქმიანობა და ტერიტორია სრულიად გამოიყენება სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოსათვის. გზშ-ის ანგარიშში საპროექტო ტერიტორიად განხილული უნდა იყოს საწარმოო პროცესებისთვის საჭირო სრული ტერიტორია, მათ შორის ნედლეულის/მზა პროდუქციის დასაწყობების, სალექარის განთავსების ტერიტორიები და სხვა. შესაბამისად, თუ ს/კ 33.09.43.528 მიწის ნაკვეთი გამოიყენება საწარმოს საქმიანობისთვის, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს **კომპანიის - შპს „მ გრუპის“** მიერ ტერიტორიით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე აღნიშნული დაკორექტირებული უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიის Shp ფაილებში;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სალექარის განთავსების GPS კოორდინატები და Shp ფაილები;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დღეისათვის საწარმოს ინფრასტრუქტურა მოწყობილია და დაწყებულია ექსპლუატაციის პროცესი (თავი 1, გვ. 5), ამასთან დოკუმენტის სხვადასხვა თავებში განხილულია საწარმოს ექსპლუატაციის საკითხი. თუმცა, 3.1. ქვეთავში მითითებულია, რომ „დაგეგმილი საქმიანობა, გულისხმობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მდ. ჩოლაბურის მარჯვენა სანაპიროზე შპს „მ გრუპის“ საკუთრებაში არსებული საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე (ს.კ 33 09 43 585), სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს, კერძოდ ქვიშა-ხრეშის, სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს **მოწყობის და ექსპლუატაციის** პროექტის განხორციელებას,“ რაც საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „მ გრუპი“ ინერტულ მასალას მოიპოვებს ორი ლიცენზირებული კარიერიდან, საიდანაც N1 კარიერი მდებარეობს მდ. ჩოლაბურის მარჯვენა სანაპიროზე და უშუალოდ ესაზღვრება საწარმოს ტერიტორიას და N2 მდებარეობს მდ. ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე. ცხრილში 4.2.1.1. წარმოდგენილი კარიერების GPS კოორდინატების გადამოწმებით დგინდება, რომ უშუალოდ საწარმოს ტერიტორიას ესაზღვრება არა N1, არამედ N2 კარიერი. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;

- ქვეთავში 4.2.1 წარმოდგენილი N1 კარიერის ერთ-ერთ GPS კოორდინატი (4. 4 X-326331; Y-4671547) სცილდება კარიერის ტერიტორიას, რაც საჭიროებს დაზუსტება/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. დაზუსტებას საჭიროებს გათვალისწინებულია თუ არა საწარმოს ტერიტორიის გადახურვა ან/და რის საფუძველზე არ წარმოიქმნება სანიაღვრე წყლები;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულ ემისიის სტაციონარული წყაროების განლაგების სქემაზე (თავი 6.3.2, სურათი 6.3.2.2) დატანილი ნედლეულისა და მზა პროდუქციის საწყობების ადგილმდებარეობები არ ემთხვევა სურათზე 4.2.2.2 მოცემულ ინფორმაციას (თავი 4.2.2). კერძოდ, სურათზე 6.3.2.2 ყველა გაფრქვევის წყარო, მათ შორის ნედლეულისა და პროდუქციის დასაწყობება ხდება ს/კ 33.09.43.585 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, ხოლო 4.2.2.2 სურათზე მოცემული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული გაფრქვევის წყაროები განთავსებულია ს/კ 33.09.43.528 მიწის ნაკვეთზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან მდინარე ჩოლაბურამდე დაშორების მანძილი შეადგენს არანაკლებ 60 მეტრს. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის - ს/კ 33.09.43.585 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან მდ. ჩოლაბურის კალაპოტის კიდემდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 48 მ-ს, ხოლო N6643 წერილით წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის დაზუსტებული Shp ფაილების შესაბამისად, მდ. ჩოლაბურამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 35 მეტრს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიიდან ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. ჩოლაბური) დაშორების მანძილის შესახებ ინფორმაცია.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით კორექტირებული გზშ-ის ანგარიშისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო